

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ერთვული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

IVANE JAVAKHISVILI TBILISI STATE UNIVERSITY
NATIONAL SCIENTIFIC LIBRARY

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ИМЕНИ ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ
НАЦИОНАЛЬНАЯ НАУЧНАЯ БИБЛИОТЕКА



ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“
Biobibliographical Series „Georgian Scholars“
Биобиблиографическая серия „Грузинские Ученые“

Ketevan Lomtaticidze

(1911-2007)

Biobibliography

Кетеван Ломтатидзе

(1911-2007)

Биобиблиография

Tbilisi
2018

ქეთევან ლომთათიძე

(1911-2007)

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი
2018

UDC 012 (ლომთათიძე) + 016:81

ლომ 81

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, ქართველოლოგისა და კავკასიოლოგის, აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის ბიობიბლიოგრაფიაში თავმოყრილია 1935-2011 წლების მასალა: სამეცნიერო შრომები, პუბლიცისტურ წერილები, სტატიები, მისი რედაქტორობით გამოცემული შრომები და ლიტერატურა მის შესახებ.

მასალა განლაგებული ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის მეცნიერის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. ერთვის სახელთა ანბანური საძიებელი.

The bio-bibliography of the Georgian famous linguist, Kartvelologist and Caucasologist, academician Ketevan Lomtadze, contains the materials of 1935-2011 years: scientific works, newspaper letters, articles, works published under her editorship and the publications about her.

The material is arranged in chronological-alphabetical order. The biobibliography is prefaced by a short review of scientific, pedagogical and public activities of K. Lomtadze. Indexes of names are applied in alphabetical order.

В биобиблиографию выдающегося грузинского языковеда, картвелолога и кавказоведа, академика Кетеван Ломтатидзе включены материалы 1935-2011 годов: научные труды, публицистические письма, статьи, труды изданные под её редакцией, а также литература о ней.

Материал расположен в хронологическо-алфавитном порядке. Биобиблиография содержит в предисловии краткий обзор научной, педагогической и общественной деятельности. Прилагается именной алфавитный указатель.

შემდგენლები: მანანა ბუკია, მარიკა ჯორჯოლიანი
რედაქტორები: თეიმურაზ გვანცელაძე, ირაკლი ღარიბაშვილი
ბიბლიოგრაფიული რედაქტორი ნანა ბალათურია
თარგმანი: ეკა შშვენიერაძე, ინგა ნარინდოშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიკა ჯორჯოლიანი
დამკაზადონებელი ნათია დვალი
გარეკანის დიზაინი ნინო ხოსრუაშვილი, ნინო ებრალიძე

Compilers: **Manana Bukia, Marika Zhorzholiani**
Editors: **Teimuraz Gvantseladze, Irakli Garibashvili**
Bibliographic editor **Nana Baghaturia**
Translator: **Eka Mshvenieradze, Inga Narindoshvili**

Computer **Marika Zhorzholiani**
Prepress: **Natia Dvali**
Cover Design: **Nino Khosruashvili, Nino Ebralidze**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 2018

ISBN 978-9941-13-751-8

ISSN 2298-0059



შინაარსი

Contents

ქეთევან ლომთათიძე (სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)	9
Ketevan Lomtadze (Brief overview of Scientific, educational and public activities)	39
Кетеван Ломтатидзе (Краткий обзор научной, педагогической и общественной деятельности)	61
ქეთევან ლომთათიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.....	85
Basic Events and Activities in Ketevan Lomtadze's Life	88
Основные даты жизни и деятельности Кетеван Ломтатидзе	91
ქეთევან ლომთათიძის შრომები.....	94
Ketevan Lomtadze's Works	94
Труды Кетеван Ломтатидзе	94
ქეთევან ლომთათიძის რედაქციით გამოცემული შრომები.....	182
Works Edited by Ketevan Lomtadze.....	182
Труды изданные под редакцией Кетеван Ломтатидзе	182
ლიტერატურა ქეთევან ლომთათიძის შესახებ	195
Publications about Ketevan Lomtadze	195
Литература о Кетеван Ломтатидзе.....	195
საიუბილეო თარიღები.....	209
Jubilee Dates	209
Юбилейные Даты	209
მასალები გარდაცვალების შესახებ.....	225
Materials About Death	225
Кончина	225
სახელთა საძიებელი	227
Index of Names	227
Указатель имен.....	227

ქეთევან ლომთათიძე

(სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

ქეთევან ლომთათიძის სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მხოლოდ საქართველოში (განსაკუთრებით კი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში), არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ქვეყანაში (ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის, ინგუშეთის, ჩეჩნეთისა და დაღესტნის რესპუბლიკებში), სომხეთში, აზერბაიჯანში, აგრეთვე დანარჩენი მსოფლიოს უკლებლივ ყველა იმ სამეცნიერო ცენტრში, სადაც იკვლევენ და ასწავლიან ქართულ და მის მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს, განსაკუთრებით აფხაზურ, აბაზურ, ადიღურ, ყაბარდოულ და უბიხურ ენებს. ქართველი მეცნიერის სახელი უკავშირდება მე-20 საუკუნის 30-90-იანი წლებისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო საქართველოში, კავკასიასა და ზოგადად საბჭოთა კავშირში ქართველური ენათმეცნიერების, ლინგვისტური კავკასიოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებისა და მიმდინარე ლინგვისტური პროცესებისათვის. მას იმ უმძიმეს პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როცა მეცნიერება და მათ შორის ენათმეცნიერება კომუნისტური იდეოლოგიის სულისშემხუთავ ზეგავლენას განიცდიდა, მაგრამ, მისდა სასახელოდ, მეცნიერმა არამცთუ გაუძლო ამ წნებს, არამედ აქტიური მონაწილეობა მიიღო ლინგვისტიკის მოსაზრების მომასწავებელი პროცესების შეჩერებისათვის მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო ომში (უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ).

აკად. ქეთევან ლომთათიძე ფართო დიაპაზონის ენათმეცნიერი იყო. იგი წარმატებით იკვლევდა ქართულ სამწიგნობრო ენას, კლასიკურ ქართულს (ძველ ქართულს), ქართველურ ენობრივ მიკროსისტემებს (გურულს, აჭარულს, ქართლურს, მეგრულს, ლაზურს, სვანურს...). მისი კვლევის სფეროში შედიოდა აფხაზურ-აბაზური, ადიღურ-ყაბარდოული (ჩერქეზული) და უბიხური ენების სტრუქტურისა და ისტორიის აქტუალურ საკითხთა

კვლევა. ასევე დიდი ადგილი უჭირავს მის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ქართული და მთის იბერიულ-კავკასიური ენების გენეტიკური და ტიპოლოგიური ერთიანობის საფუძვლიან მიებას, ზოგადკავკასიური და თეორიული ენათმეცნიერების აქტუალური საკითხების კვლევას.

მეცნიერის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ 200-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში დასმული და წარმატებით გადაჭრილია უამრავი საკითხი დასახელებულ ენათა და დიალექტთა ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა, მორფოლოგიურ-სემანტიკური კატეგორიების, სინტაქსის, ლექსიკის ისტორიისა და ეტიმოლოგიის, აგრეთვე დიალექტთა, კილოკავთა და თქმათა გამოყოფის საფუძვლების, ქართული და აფხაზური სამწიგნობრო ენების ფუნქციონირებისა და ნორმირების აქტუალური საკითხების შესახებ.

გარდა აღნიშნულისა, ქ. ლომთათიძე იყო მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორი, უებრო ლექტორი და ქართველ, აფხაზ და ჩრდილოეთკავკასიელ ასპირანტთა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა ყურადღებიანი ხელმძღვანელი, უცხოელ მეცნიერთა შეუცვლელი კონსულტანტი.

წინამდებარე გამოცემაში შეუძლებელია მეცნიერის დამსახურებათა სრულად და ღრმად გაანალიზება, რის გამოც ძირითადად შემოვიფარგლებით მკვლევრის სამეცნიერო ინტერესთა ევოლუციის მიმოხილვით და უმთავრეს მიღწევათა წარმოჩენით.

მეცნიერი იხსენებდა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მას სურდა გამხდარიყო მათემატიკოსი და დაემტკიცებინა, რომ ქალებს არანაკლები მიღწევები შეიძლება ჰქონდეთ ამ უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვან სამეცნიერო დარგში, ვიდრე მამაკაცებს. ამ მიზნის მისაღწევად მას საბუთები შეუტანია კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის განყოფილებაზე, მაგრამ როცა ამის შესახებ შეუტყვია ერთ მის ნათესავს, აბიტურიენტის დაუკითხავად გადაუტანია საბუთები ფილოლოგიის მიმართულე-ბაზე, ხოლო მათემატიკოსობაზე მეოცნებე ახალგაზრდა ქალბატონი დამორჩილებია იმ ნათესავისა და სხვა ახლობელთა კატეგორიულ მოთხოვნას, განეგრძო სწავლა ფილოლოგიის მიმართულებით. უნივერსიტეტში მან თავის სპეციალობად აირჩია ენათმეცნიერება (როგორც ჩანს, მათემატიკის სიყვარულით!), რომელსაც სირთუ-

ლის, მწყობრი სისტემისა და მნიშვნელობის გამო ხშირად „ფილოლოგიის მათემატიკას“ უწოდებენ ხოლმე (ქ. ლომთათიძესაც სიცოცხლის ბოლომდე მიაჩნდა, რომ ენათმეცნიერება მათემატიკასავით ზუსტი მეცნიერებაა). აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ქეთევან ლომთათიძეს სწორედ მათემატიკისადმი განწყობილმა გონებამ შეაძლებინა დაენახა მწყობრი სისტემები ქართველური ენობრივ-სამეტყველო ერთეულების, აგრეთვე ურთულესი და ერთი შეხედვით ქაოსური ბუნების მქონე აფხაზური, აბაზური, ადიღური, ყაბარდოული და უბიხური ენების სტრუქტურაში, დაედგინა ისეთი კანონზომიერებანი, რასაც მანამდე ვერავინ ამჩნევდა და შეექმნა რეალური საფუძვლები საიმისოდ, რათა მის მიერ გამოვლენილი ფონოლოგიურ-ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური კანონზომიერებებისათვის მის კოლეგებს ლომთათიძის კანონები ეწოდებინათ. ასე რომ, ზემოთ ხსენებული ნათესავის ჩარევამ მომავალი მეცნიერის ბიოგრაფიაში ის შედეგი გამოიღო, რომ მათემატიკამ დაკარგა, ხოლო ენათმეცნიერებამ შეიძინა დიდი ქართველი მეცნიერი, რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარი და მოაზროვნე იყო არა მარტო საქართველოს, არამედ სრულიად კავკასიისა და უფრო ფართო მასშტაბით.

ქეთევან ლომთათიძის ბიოგრაფია, პუბლიკაციები, სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობა საფუძველს იძლევა, მეტ-ნაკლები პირობითობით გამოვყოთ მისი საქმიანობის 3 მთავარი ეტაპი. ქვემოთ მიმოვიხილავთ თითოეულ ამ ეტაპს.

პირველ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ 1929-1937 წლების შუალედი, რომელსაც ქართველური დიალექტოლოგიის ეტაპი შეიძლება ეწოდოს.

ეს ეტაპი და, საზოგადოდ, მკვლევრის სამეცნიერო ბიოგრაფია იწყება 1929 წელს, როცა სრულიად ახალგაზრდა (18 წლის) ქეთევან ლომთათიძე წერს მოხსენებას „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“, რომელშიც მაღალ აკადემიურ დონეზე განიხილება საკითხი ამ ორ დიალექტში ზმნის მესამე ობიექტური პირის ნიშანთა დისტრიბუციისა და ამ ნიშანთა გამოყენების წესის მიმართების შესახებ ძველქართულ ხანმეტ და ჰემეტ ტექსტებში დადასტურებული შესაბამისი პრეფიქსების გამოყენების წესთან. ამ საკითხით დაინტერესებას ხელი შეუწყო XX სა-

უკუნის პირველ ოცწლეულში ახალი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენამ, რამაც სერიოზულად შეცვალა მეცნიერთა წარმოდგენა ქართული ენის ისტორიის შესახებ. იმ პერიოდში ივ. ჯავახიშვილისა და აკ. შანიძის მიერ ამ მიმართულებით დაწყებულ კვლევას, რაც ემყარებოდა ძველქართულ ტექსტებში წარმოდგენილ ფაქტობრივ მასალასა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების მონაცემებს, მეტად ფართო რეზონანსი ჰქონდა სამეცნიერო საზოგადოებაშიცა და სტუდენტებს შორისაც, რაკი მიიჩნეოდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოები მეტად ინარჩუნებენ არქაულ ნიშნებს და ხანმეტობა-ჰაემეტობის კვალი მართლაც დადასტურდა ამ დიალექტთა ზმნის უღვლილებებაში, ბუნებრივად უნდა წამოჭრილიყო საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა შენარჩუნებული ხანმეტობისა და ჰაემეტობის ნაშთები სხვა კილოებშიც, კერძოდ, გურულსა და აჭარულში. სტუდენტი გოგონას მიერ ამ ორი დასავლური დიალექტის შერჩევა საკვლევად 2 მიზეზით იყო განპირობებული:

1. დასავლური ჯგუფის ორივე მეტყველება, დანარჩენ დასავლურ კილოთა მსგავსად, ზოგადად ხასიათდება ზმნურ ფორმებში პირის ნიშანთა გამოყენების „უსისტემობით“: ხშირია შემთხვევები წესების დაცვისა, მაგრამ ასევე ხშირად პირის ნიშნები იხმარება მაშინ, როცა ისინი, წესის მიხედვით, ზედმეტია, ანდა პირის ნიშნები ზმნებს აკლია იმ შემთხვევებში, როცა წესი მოითხოვს მათ ჩასმას ზმნურ ფორმაში;

2. გურული დიალექტი მშობლიური მეტყველება იყო ახალგაზრდა მკვლევრისათვის, ხოლო აჭარული კილო გურულთან ძალზე ახლოს დგას.

ქ. ლომთათიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნაშრომმა დასახულ მიზანს მიაღწია და უტყუვრად დადასტურდა, რომ გურულ და აჭარულ დიალექტებს მართლაც რელიეფურად შემოუნახავთ ხანმეტობა-ჰაემეტობის კვალი შესაბამის პრეფიქსთა და მათ ფონეტიკურ ვარიანტთა გამოყენების წესების სახით. ამ ნაშრომს იმდენად დიდი მნიშვნელობა აღმოაჩნდა, რომ დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მის ავტორს იგი მოხსენების სახით წააკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის სხდომაზე 1934 წელს და შემდეგ სრულად დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის შრომების VI ტომში (1937-1938 წწ.). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ავტორს სამართლიანად ეამაყებოდა ეს ნაშრომი და ხშირად ამბობდა, ახლა მიკვირს, როგორ გავბედე ასეთ სერიოზულ საკითხზე მუშაობა ისეთი კორიფეების შემდეგ, როგორც ივ. ჯავახიშვილი და აკ. შანიძე იყვნენ.

სიცოცხლის ბოლო წლებში მეცნიერმა საკუთარი ხელით შეადგინა თავისი სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც უნიკალურია იმ მხრივ, რომ ზოგიერთი პუბლიკაციის დასახელებას სქოლიოში ერთვის თვით ავტორის თვითკრიტიკული და სხვა სახის შენიშვნები. ამ შენიშვნებიდან ბევრი საინტერესო რამ ირკვევა. კერძოდ, ბიბლიოგრაფია სწორედ დასახელებული სტატიით იწყება, მეორე ნომრად კი შეტანილია ნაშრომი სათაურით: „ეგ. ნინოშვილის „პარტახის“ აკადემიური გამოცემა აკაკი შანიძის რედაქტორობით. დედანი აღადგინა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ქ. ლომთათიძემ. თბილისი, 1935“. ორივე ნაშრომის დასახელებას ახლავს შენიშვნები, რომლებიდანაც ვიგებთ, რომ მწერალ ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოების დედნისეული ტექსტის აღდგენისა და აკადემიური გამოცემის მომზადებისათვის ბიძგი მიუცია სწორედ გურული და აჭარული კილოების თავისებურებათა შესახებ დაწერილ უკვე ხსენებულ ნაშრომს (იხ.: აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 7, შენიშვნა 1 და 2).

აქვე აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში ქ. ლომთათიძე აქტიურად მონაწილეობდა აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით წამოწყებულ დიდ ეროვნულ საქმეში, რაც გულისხმობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ტრადიციული შინამრეწველობის ამსახველი მაქსიმალურად სრული ემპირიული მასალების შეკრებას ეთნოლოგთა, ლინგვისტთა, ფოლკლორისტთა, ისტორიკოსთა მონაწილეობით მოწყობილი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების საფუძველზე. ახალგაზრდა ენათმეცნიერი სხვებთან ერთად აგროვებდა ამგვარ მასალას აჭარასა და გურიაში. ჩვენამდე მოღწეულია ერთი ფოტო, რომელზეც გამოსახულია ტრადიციულ აჭარულ სამოსში გამოწყობილი ქალბატონი. ეს მანდილოსანი მომავალი აკადემიკოსი ქ. ლომთათიძეა, რომელსაც ერთ-ერთ სოფელში თვითონ შეუსრულებია აჭარელი ქალის როლი, ვინაიდან ისლამის

ზეგავლენის ქვეშ მყოფ იქაურ ქალებს კატეგორიული უარი უთქვამთ ფოტოსურათის გადაღებაზე.

მოგვიანებით, XX საუკუნის 70-80 წლების მიჯნაზე იმ კომპლექსური ექსპედიციების მონაწილე ცნობილმა არქეოლოგმა ვახტანგ ჯაფარიძემ წამოიწყო ხსენებული სამეცნიერო ექსპედიციების მუშაობის შედეგად შეკრებილი უნიკალური, მრავალფეროვანი და მეტად ძვირფასი საველე-საექსპედიციო მასალების სრულად გამოცემა. საექსპედიციო მასალების გაშიფრვა და სხვადასხვა დიალექტზე ჩაწერილი ტექსტების მომზადება გამოსაცემად შეუძლებელი იქნებოდა ენათმეცნიერთა მონაწილეობის გარეშე და ვ. ჯაფარიძემ დახმარებისათვის მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, რომლის დირექტორიც იმ დროს ქ. ლომთათიძე იყო. ისიც სიამოვნებით დათანხმდა მრავალტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრობას და ამ საქმეში მონაწილეობა დაავალა ორ ახალგაზრდა ენათმეცნიერს, რომლებმაც აქტიურად იმუშავეს შესაბამისი მრავალტომეულის გამოსაცემად მომზადებაზე, ქ. ლომთათიძე კი მონაწილეობდა სარედაქციო სამუშაოებში. ამით მეცნიერმა არა მარტო პატივი მიაგო ამ საქმის ინიციატორის, თავისი დიდი მასწავლებლის, აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას, არამედ სერიოზული წვლილი შეიტანა ტრადიციული ქართული ყოფის ამსახველი უმდიდრესი მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის საქმეშიც – ამ გამოცემის გარეშე ქართველოლოგია ბევრ რამეს დაკარგავდა, ვინაიდან მასალის შეკრებიდან გასული თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ტექნიკური პროგრესისა და ცხოვრების პირობების სერიოზული ცვლის გამო უკვე გამქრალი იყო ეთნოლოგიური რეალიების დიდი ნაწილი, აგრეთვე ამ რეალიებთან მჭიდროდ დაკავშირებული ფოლკლორული და ენობრივი მასალა. ამ მასალის უქონლობის შემთხვევაში ქართველოლოგიის თითქმის ყველა მიმართულება უეჭველად დაკარგავდა ბევრ რამეს.

ქ. ლომთათიძის სამეცნიერო საქმიანობის მეორე ეტაპი მოიცავს 1937-1957 წლებს, რომელსაც პირობით აფხაზოლოგიური ეტაპი შეიძლება ეწოდოს. ამ ეტაპზე, უფრო ზუსტად, 1936 წლიდან

ახალგაზრდა მეცნიერი ნაწილობრივ წყვეტს მუშაობას ქართველურ დიალექტოლოგიაში და ინტენსიურად იკვლევს უკლებლივ ყველა აფხაზურ-აბაზურ მიკროვარიანტს. აფხაზურ-აბაზურ ენათმეცნიერებაში მკვლევრის გადანაცვლება აკად. სიმონ ჯანაშიას ინიციატივა იყო – სიმონ ჯანაშიამ, ქართველ მეცნიერთაგან პირველმა იმოგზაურა 1929 წელს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, სადაც ცხოვრობენ ჩერქეზები (ადილელები და ყაბარდოელები) და აბაზა ხალხი, ხოლო 1864 წლამდე ბინადრობდნენ აწ უკვე გამქრალი უბიხეებიც.

როგორც ცნობილია, XX საუკუნეში კავკასიოლოგიის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მთელი ჯგუფის მოღვაწეობას. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია, დიმიტრი მგელაძე. კავკასიოლოგიისათვის მიმართულების განმსაზღვრელი იყო აკად. ივანე ჯავახიშვილი, რომელიც თავის ფუნდამენტურ, 700-გვერდიან მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (თბილისი, 1937) წერდა: „...მართო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისთვის ე.წ. კავკასიური ენებისა და ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტიკური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა“.

კავკასიოლოგიის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ორი სამეცნიერო სტრუქტურის შექმნამ: 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არნ. ჩიქობავას ინიციატივით დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა, ხოლო ორიოდე წლის შემდეგ მისივე დამსახურებით შეიქმნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის (შემოკლებით: ენიმკი) კავკასიური ენების განყოფილება. ამასთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მეტადრე სასიხარულოა, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენმა ენათმეცნიერებმაც მიჰყვეს კავკასიური ენების გაღრმავე-

ბულს კვლევა-ძიებას ხელი, წინათ შეკრებილი მასალის ბგერითი და ლექსიკური მხრით მკაცრი შემოწმებით, ახალი უფრო ვრცელი მასალის შეგროვებითა და მთელი ამ შენაძენის მონოგრაფიული, გულდასმითი შესწავლითურთ. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი სრულებით სანდო უხვი ენოვანი მასალის შეკრება და მტკიცე შედეგის მოპოვება. მომავალში ასეთ მონოგრაფიულ კვლევა-ძიებაზე დაყრდნობით, ფართო, ზოგადი და შედარებითი საკითხების განხილვაც გაადვილდება, ამჟამად-კი ეს ასპარეზი მეტადრე ამ ენათა ნათესაობის ამოცანა, უაღესად რთულს... ამოცანას წარმოადგენს“.

იმთავითვე რთული გზით სვლის მოსურნე ქ. ლომთათიძეს ამ ეტაპზე გაუჩნდა რეალური შანსი, დაეწყო ურთულესი სტრუქტურის მქონე აფხაზურ-აბაზური დიალექტების მეცნიერული კვლევა და ამით შეეტანა თავისი წვლილი კავკასიოლოგიის განვითარების საქმეში. როგორც თვითონ იგონებდა, მას ამისი ინტერესი უკვე ჰქონდა. გარდა ამისა, მასზე არჩევანი შეაჩერა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა და ლინგვისტმა სიმონ ჯანაშიამ, რომელიც დაბადებული და აღზრდილი იყო აფხაზურ სოფელში (ამჟამინდელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფელი აძვიშუა), რის გამოც დედაენასავით ფლობდა აფხაზურ ენას, ხოლო 1929 წელს იმოგზაურა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში და შეკრიბა აბაზური და ჩერქეზული ეთნოლოგიურ-ენობრივი მასალა. იმ დროისათვის აფხაზური ენის სტრუქტურის შესახებ გამოქვეყნებული იყო მხოლოდ პროფ. გეორგ როზენის რამდენიმეგვერდიანი მიმოხილვა (Georg Rosen, 1846), პეტრე უსლარის ასევე მოკლე გრამატიკული ნარკვევი (Петр Услар, 1862), ფ. ბორკის სტატია (F. Bork), პეტრე ჭარაიას საყურადღებო გამოკვლევა აფხაზურ-ქართულ ენობრივ მიმართებათა შესახებ (1912) და აკად. ნიკო მარის ნაშრომების სერია, რომლებშიც ხშირად გამოთქმულია ნაჩქარევი, მეთოდოლოგიურად გაუმართავი და დაუსაბუთებელი დასკვნები. რაც შეეხება აბაზურ მეტყველებას, მის შესახებ სრულებით არ არსებობდა არცერთი სამეცნიერო ნაშრომი. შესაბამისად, სახარების სიტყვების პერიფრაზირებით რომ ვთქვათ, სამკალი ფრიად იყო, ხოლო მომკალნი – მცირედ!

1936-1940 წლებში ქეთევან ლომთათიძეს ჰქონდა შესაძლებლობა სოფელ-სოფელ შეესწავლა აფხაზური ენის აბჟუური და ბზიფური დიალექტები: 1936-1938 წლებში იგი თბილისიდან მივლინებით ჩადიოდა აფხაზეთში და იკვლევდა ამ დიალექტებს, ხოლო 1938-1940 წლებში, როცა შეთავსებით იყო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი, სოხუმიდან დადიოდა აფხაზურ სოფლებში. 1938-1941 და 1947 წლებში მეცნიერი სწავლობდა აბაზური ენის ტაპანთურ და აშხარულ კილოებს: აკვირდებოდა ცოცხალ მეტყველებას, იწერდა სხვადასხვა შინაარსის ტექსტებს, კრებდა დიალექტურ ლექსიკას. ამ გზით ქ. ლომთათიძე მაღალ დონეზე დაეუფლა ორივე ენას, რისი დამადასტურებელიცაა შემდეგი ფაქტი: მან იმდენად შესანიშნავად იცოდა აფხაზური და აბაზური ენები, რომ შეეძლო მეტყველების თავისებურებათა მიხედვით გამოეცნო, რომელი სოფლიდან იყო მისი თანამოსაუბრე, ხოლო აფხაზურ-აბაზური ენობრივი მასალის ანალიზის დროს ისეთ ნიუანსებს ამჩნევდა, რისი დანახვაც მხოლოდ ენის უმაღლეს დონეზე ცოდნის დროს არის შესაძლებელი.

ამჟამად ძნელი წარმოსადგენია, თუ რა მიმღე იყო მგზავრობა არამცთუ ახალგაზრდა ქალისათვის, არამედ მამაკაცისთვისაც კი ჭაობებით დაფარულ ან მთებში მდებარე ძნელად მისასვლელ აფხაზურ სოფლებამდე, ასევე ძნელად მისასვლელ აბაზურ დასახლებებამდე. პრობლემას ქმნიდა ყველაფერი: საექსპედიციო თანხის საკმარისი ოდენობით მიღება, ტრანსპორტის პოვნა, მეგზურისა და ცხენის დაქირავება, ბინა, კვება, უნდობლობა ადგილობრივ ხელისუფალთა მხრიდან, უცხო ეტიკეტის უცოდინრობა, ინფორმატორების გამოძებნა და მათი დათანხმება, ენობრივი მასალის ხელით ჩაწერა და ჩანაწერის სიზუსტის შემოწმება და სხვ. თუმცა, როგორც თვითონ მეცნიერი იხსენებდა, მას მუდამ უმართლებდა მასპინძლებსა და ინფორმატორებში, რომელთაგანაც მასპინძლები ხელს უწყობდნენ მუშაობაში, ხოლო ინფორმატორები ხალისით აწერინებდნენ საჭირო ენობრივ და ფოკლორულ მასალას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმოხილვის ერთ-ერთ ავტორს, რომელსაც ჰქონდა პატივი, ყოფილიყო ჯერ ქეთევან ლომთათიძის სტუდენტი, მერე კი მისი ასპირანტი და უმცროსი კოლეგა, აფხაზურ და აბაზურ სოფლებში უნახავს ქართველი მეცნიერის ადრინდელი მასპინძლები და ინფორმატორები. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მათი სოფლების მთელი მოსახლეობა მოხიბლული ყოფილა ქართველი ახალგაზრდა ქალის გამორჩეული მშვენიერებით, მისი საოცარი ნიჭითა და ურთულესი ენობრივი ფაქტების სწრაფი ათვისების უნარით, კომუნიკაბელურობით, ქცევის სისადავითა და აფხაზურ-აბაზური ეტიკეტის პატივისმცემლური დაცვით. ზოგ სოფელში ისიც კი ახსოვდათ, თუ როგორ მოხდენილ კაბებს იცვამდა, ან როგორ დააქროლებდა ცხენს ქართველი სტუმარი.

ამავე ეტაპზე ქ. ლომთათიძემ წარმატებით დაიცვა ჯერ საკანდიდატო, მერე კი სადოქტორო დისერტაციები. პირველ საკვალეფიკაციო ნაშრომში გაანალიზებულია აფხაზური ზმნის ძირითად დროთა სისტემა, ხოლო სადოქტორო დისერტაციაში დეტალურად იყო აღწერილი ტაპანთური დიალექტის თავისებურებანი ყველა ენობრივ დონეზე. აღსანიშნავია, რომ ქ. ლომთათიძე იყო პირველი ქართველი ქალი, ვინც ჰუმანიტარულ მეცნიერებაში მოიპოვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მეორე ეტაპის აფხაზოლოგიურ ნაშრომებში ავტორი აღწერთი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით იკვლევდა შემდეგ საკითხებს: აფხაზურ-აბაზური ენების დიალექტოლოგიური კლასიფიცირება და ტერიტორიული მიკროსისტემების გამოყოფის დასაბუთება; ამ მიკროსისტემათა ფონემატური სტრუქტურა და ფონეტიკური პროცესები; სახელისა და ზმნის გრამატიკული კატეგორიები, მეტყველების სხვა ნაწილთა აღწერა და ისტორია; აფხაზური სამწიგნობრო ენის ნორმირების პრობლემები... ამ ციკლის ნაშრომთაგან განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ არა მხოლოდ აფხაზური და აბაზური ენების კვლევის თვალსაზრისით, არამედ ზოგადკავკასიური და ზოგადლინგვისტური კუთხით უმნიშვნელოვანესი ნაშრომები, რომლებშიც გამოვლენილია ორივე ენისათვის დამახასიათებე-

ლი ის კანონზომიერებები, ლომთათიძის კანონებს რომ უწოდებენ კავკასიოლოგები. მათში ან ყველა დასკვნაა მეცნიერის მიერ პირველად გამოტანილი მდიდარ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, ანდა პირველად არის სწორად გაშუქებული ადრე სხვა მეცნიერთა მიერ მცდარად გაანალიზებული პრობლემები:

„ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“ (1938 წ.) – ნაშრომში პირველად არის ზუსტად აღწერილი და სისტემატიზებული აფხაზური ზმნის ძირითად დროთა წარმოების სისტემა;

„რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში“ – პირველად არის გამოკვლეული საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფუნქციები ეკისრება აფხაზურ ენაში სიტყვის ძირის, ან ფუძის გაორმაგებას. ქართული ენის მონაცემებთან შედარების გზით ნაჩვენებია საკვლევი ენის სპეციფიკა;

„ერთეულის კატეგორია და მისი მაწარმოებლები აფხაზურში“ – ნაშრომში პირველად არის განხილული აფხაზური არსებითი სახელების ის გრამატიკული კატეგორიები, რომლებიც მანამდე ძირითადად უცნობი იყო სპეციალისტებისათვის;

„მიმართებითი ნაცვალსახელები აფხაზური ენის ზმნურ ფორმებში“ (რუსულ ენაზე) – სწორედ ამ ნაშრომში გამოვლინდა მეცნიერის უნარი, იოლად გარკვეულიყო მანამდე უსისტემობის შთაბეჭდილების შემქნელ ურთულეს გრამატიკულ ფორმათა სისტემებში და დაესაბუთებინა დასკვნები ენის უღრმეს დონეზე ცოდნის საფუძველზე. კერძოდ, დასაბუთდა, რომ აფხაზურ ენაში სიტყვათა მთელი ჯგუფის (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, სადაც, როდესაც, როგორც...) უქონლობამ ბრუნების სისტემის არარსებობასთან ერთად განსაზღვრა ძალზე სპეციფიკური ზმნური კატეგორიების წარმოქმნა;

„გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში“ – ამ კლასიკურ ნაშრომში გრძელდება წინა ნაშრომში დაწყებული დეტალური კვლევა და გამოტანილია დასკვნა, რომ, ბრუნების სისტემის უქონლობის მიუხედავად, აფხაზურ ენაში ზმნამ იკისრა სუბიექტისა და ობიექტების მორფოლოგიურად გარჩევის ფუნქცია და ამ საფუძ-

ველზე შესაძლებელია იმის თქმა, რომ აფხაზურმა ენამ ირიბად მაინც შეინარჩუნა ერგატიული კონსტრუქციის წარმოქმნის შესაძლებლობა და გარდამავლობისა და გარდაუვალობის ზმნით განსხვავების ფუნქცია;

„ბრუნების საკითხი აფხაზურში“ – ნაშრომი აჯამებს წინა 2 ნაშრომში დასმული საკითხების ანალიზს და დამაჯერებლად ასაბუთებს, თუ რა შედეგები მოუტანა აფხაზურ ენას ბრუნების კატეგორიის უქონლობამ და როგორ იპოვა ამ ენამ სხვა საშუალებები „მორფოლოგიურ-სინტაქსური ნაკლის“ დასაძლევად;

ამავე ეტაპზე პირველად დეტალურად აღიწერა აფხაზური ენის ისეთი ლინგვისტური პრობლემები, როგორიცაა: ფონეტიკურ პროცესთა საოცრად რთული ცვლილებები და მათი მიზეზ-შედეგები, კითხვითი ფორმების, კაუზატივის, ქცევის, პოტენციალისის, უნებურობის, ზმნის უსუბიექტო ფორმების, კილოს სპეციფიკურ ფორმათა, ზმნის უარყოფით ფორმათა, სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა წარმოების წესები, ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა მიმართება, რთულფუმიან ზმნათა წარმომავლობა და სპეციფიკა, გვარის კატეგორიის არსებობა-არარსებობა და სხვა.

ამავე ეტაპზე ქ. ლომთათიძე დროდადრო უბრუნდება ქართველოლოგიას და წერს რამდენიმე საყურადღებო ნაშრომს, რომლებიც ეხება გურულ დიალექტში დადასტურებულ ბულბულის (ყარანა) სახელის წარმომავლობას, მეგრულ ზმნებში წარმოდგენილ -ქ სუფიქსის ფუნქციასა და წარმოშობას, ქართული ენის ზოგი დიალექტის დამოკიდებული წინადადების ერთ სახეობას, ქართული თბება ტიპის ზმნათა სისტემასა და ისტორიას, აგრეთვე აფხაზურ-ქართულ გრამატიკულ პარალელებს. ამ ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა ლინგვისტური ქართველოლოგიისა და ქართველურ-აფხაზურ ენობრივ მიმართებათა მკვლევართათვის.

ამ პუბლიკაციათა უმრავლესობაში ქართული ენის თავისებურებათა ანალიზისას ავტორი აქტიურად იყენებს მონათესავე აფხაზური ენის მონაცემებსაც და ადგენს საზიარო ტენდენციებს ორი ენის განვითარებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1937 წელს დროებით

შეწყვეტილი ქართველოლოგიური კვლევა მეორე ეტაპის შუა ხანე-ბიდან კვლავ განახლდა და ქართველოლოგიის კონკრეტული პრობ-ლემები უკვე განიხილება მონათესავე ენის მონაცემთა მოშველიე-ბით, რაც კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ მართალი ბრძანდე-ბოდა საქართველოში კავკასიოლოგიის სამეცნიერო სკოლის ფუძემ-დებელი ივანე ჯავახიშვილი, როცა აცხადებდა, ქართველოლოგიის პრობლემათა სრულყოფილად კვლევა შეუძლებელია კავკასიოლო-გიის მონაცემთა გაუთვალისწინებლად და პირიქითო.

მეცნიერის მოღვაწეობის მეორე ეტაპზე აფხაზურ-აბაზური ლინგვისტიკის სფეროში გაწეული დაუღალავი შრომა შეჯამებულ იქნა 2 უმნიშვნელოვანეს მონოგრაფიაში: აფხაზური ენის ტაპან-თური დიალექტი (ტექსტებითურთ) (1944 წ.) და აშხარული დია-ლექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შო-რის (ტექსტებითურთ) (1954 წ.). ორივე წიგნში ავტორი ემყარება წლების განმავლობაში უშუალოდ აბაზურ სოფლებში შეკრებილ უმდიდრეს და ზუსტ ენობრივ მასალას, დეტალურად განიხილავს ორივე დიალექტის ფონოლოგიურ შემადგენლობას, ფონეტიკურ პროცესებს, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს, ლექ-სიკას, აგრეთვე ამ დიალექტთა შიგნით არსებულ უფრო მცირე სა-მეტყველო ერთეულთა საზღვრებსა და თავისებურებებს, ერთიმე-ორესთან და აფხაზურ ენასთან მათ მიმართებას, ჩერქეზული, ქარ-თული და სხვა ენების გავლენას საანალიზო დიალექტებზე და სხვ.

ორივე მონოგრაფიას განსაკუთრებულ ფასს სძენს ყველა აბა-ზურ სოფელში ჩაწერილი დიდი რაოდენობის ტექსტები, რომლე-ბიც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტური, არამედ ფოლკლორული და ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც. მა-გალითად, ამ ტექსტებში ნებისმიერ ლინგვისტს შეუძლია დამოუ-კიდებლად მოიძიოს და გამოიყენოს ის ენობრივი მასალა, რომლის დიდი ნაწილი ამჟამად უკვე გამქრალია ტექნიკური პროგრესისა და რუსული ენის მძლავრი ზეწოლის საფუძველზე, რაც დასახე-ლებულ მასალას ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობასაც ანი-ჭებს. ფოლკლორისტები და ეთნოლოგებიც ასევე მეტად ფასეულ

მასალას პოულობენ ამ ტექსტებში, ვინაიდან ბევრი ფოლკლორული ტექსტი, სიუჟეტი და მითოლოგემა, აგრეთვე ცნობები ეთნოგრაფიული რეალიების დიდი ნაწილის შესახებ ამჟამად მხოლოდ ამ წიგნებშია ფიქსირებული. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1984 წელს მაღლიერმა აბაზა მეცნიერებმა საგანგებოდ აღნიშნეს ქართველი მეცნიერის პირველი მონოგრაფიის გამოცემის 40 და მეორე მონოგრაფიის დაბეჭდვის 30 წლისთავი. ამ იუბილეს ქ. ჩერკესკში (ამჟამად ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა) აბაზურ ენაზე გამომავალი გაზეთის რედაქციამ მთელი გვერდი მიუძღვნა, ხოლო ქართველი მეცნიერის აბაზა მოწაფე, პროფ. სერგეი პაზოვი ამჟამად ამზადებს დასახელებული ტექსტების ხელახალ გამოცემას.

ქ. ლომთათიძის მოღვაწეობის მეორე პერიოდიდან იწყება იმ საბოლოო მიზნის განხორციელება, რაც მეცნიერს დაუსახა მისმა მასწავლებელმა აკად. ს. ჯანაშიამ – ერთი მხრივ, უნდა აღწერილიყო აფხაზურ-აბაზურ მეტყველებათა სტრუქტურა და, მეორე მხრივ, სისტემური და ღრმა უნდა გამხდარიყო ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის პრობლემათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა.

ამავე ეტაპზე ქ. ლომთათიძის სამეცნიერო თვალსაწიერი კიდევ უფრო ფართოვდება: მეცნიერი იწყებს ადიღეური და ყაბარდოული ენების მონაცემთა გაღრმავებულ კვლევასაც. 1953 წელს მეცნიერი მოსკოვში აქვეყნებს ნაშრომს ადიღეურ-ყაბარდოულ ენებში სპირანტთა სამეულის წარმოქმნის ისტორიის შესახებ, რომელშიც, დამაჯერებლად აიხსნა ამ ენებში კბილისმიერ სპირანტთა სამეულის მომდინარეობა ლაბიალიზებულ აფრიკატთაგან ისტორიულად ამოსავალი რთული ფონემების დაშლის გზით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი უნდა ჩაითვალოს ლინგვისტური კავკასიოლოგიის კლასიკურ გამოკვლევად, რომელიც ბრწყინვალე ნიმუშია ემპირიული მასალის ვირტუოზული ფლობისა, მეცნიერის გონებამახვილობისა, ანალიზის მათემატიკური სიზუსტისა და ურთულესი ენობრივი მონაცემების საოცარი სისადავით ახსნისა.

აქ დასახელებული ნაშრომის პრინციპული გაგრძელებაა 1955 წელს დაბეჭდილი სტატია „ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში (ქართულ-აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალაზე)“, რომელშიც პირველად გამოვლინდა ქართველურ კილოთა, აფხაზურ-აბაზურ და ადიღეურ-ყაბარდოულ ენათა გენეტიკური ნათესაობის დამადასტურებელი კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების ერთი ნაწილი და შეიქმნა მყარი მეთოდოლოგიური საფუძველი ამ მიმართულებით კვლევის გაღრმავებისათვის.

ქ. ლომთათიძის სამეცნიერო საქმიანობის მეორე ეტაპზე მეცნიერს მოუხდა მონაწილეობა მიეღო 3 უმწვავეს პოლიტიზებულ სამეცნიერო დისკუსიაში, რამაც მეცნიერს დიდი დრო და ენერგია წაართვა, თუმცა, როგორც თვითონ ამბობდა, იმ ურთულეს მომენტებში მას განზე დგომა არ შეეძლო:

ა) 1948 წელს ქართველი მეცნიერი დაუპირისპირდა პროფ. გიორგი სერდიუჩენკოს (1904-1965 წწ.), რომელიც ცნობილი იყო, როგორც საბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამცველი და იმ მეცნიერთა დევნის ორგანიზატორი, ვინც არ იზიარებდა ნ. მარის ანტიმეცნიერულ „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“¹. საქმე ის იყო, რომ 1941 წლის დეკემბერში პატიმრობაში დაღუპულ ნიჭიერ რუს კავკასიოლოგს ანატოლი გენკოს გამოუქვეყნებელი დარჩა მონოგრაფია „აბაზური ენა (ტაპანთური დიალექტის გრამატიკა)“, რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ რედაქტირების მიზნით გადაუციათ გ. სერდიუჩენკოსთვის. ამ უკანასკნელმა მიითვისა ეს ნაშრომი და ჩერქეზეთის კვლევითი ინსტიტუტის საგამომცემლო გეგმაშიც კი შეატანინა იგი, თუმცა კომისიამ რუსი მეცნიერების ე. ჩემოდანოვის, ე. ბოკარიოვისა და ლ. ლავროვის შემადგენლობით დაადგინა, რომ წიგ-

¹ ქგ. სერდიუჩენკოს ბნელი საქმიანობის შესახებ დეტალები იხ.:
http://ru.wikipedia.org/wiki/Генко,_Анатолий_Несторович ;
<http://ruslang.ru/agens.php?id=div&sp=13> ;
http://traditio.ru/wiki/Федот_Петрович_Филин .

ნი ნაქურდალი იყო. გ. სერდიუჩენკომ უკან არ დაიხია და ა. გენკოს წიგნის საფუძველზე ორი სტატია მაინც გამოაქვეყნა (თანაც დამახინჯებულად – მან არ იცოდა აბაზური ენა და უჭირდა მის სტრუქტურაში გარკვევა, თუმცა პრეტენზიის უქონლობასა და თავმდაბლობას სრულებითაც არ უჭიოდა). გ. სერდიუჩენკოს ამ 2 სტატიის შესახებ ქ. ლომთათიძემ დაწერა საკმაოდ მწვავე რეცენზია, რომელშიც გამოავლინა გ. სერდიუჩენკოს მიერ დაშვებული უამრავი შეცდომა ტაპანთური დიალექტის მონაცემთა ორიგინალის ტექსტიდან გადაწერისა და ანალიზის თვალსაზრისით. ქართველი მეცნიერის ეს რეცენზია უნდა დაბეჭდილიყო სოხუმში, აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომების XXVIII ტომში. იგი სტამბამ ააწყო კიდეც, მაგრამ, როგორც თვით ქ. ლომთათიძე იხსენებდა, მეცნიერი დაიბარა აფხაზეთის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა აკაკი მგელაძემ და უთხრა, „შრომებში“ რეცენზიის დაბეჭდვას დიდი გართულება მოჰყვება, მოსკოვი არ გვაპატიებს რუსი მეცნიერის მხილებას და იქნებ ცალკე ამონაბეჭდად გამოვცეთ, რომ თქვენ შეგეძლოთ მისი გავრცელება კოლეგებშიო (როგორც ჩანს, ქართველი მეცნიერი ვიდაცამ დაასმინა და ამიტომაც ჩაერთო საქმეში ა. მგელაძე). ქალბატონი ქეთევანი დასთანხმდა ამ წინადადებას და რეცენზია მართლაც გამოქვეყნდა ცალკე ამონაბეჭდის სახით. ამ რეცენზიას დიდი რეზონანსი ჰქონდა: რუსი მეცნიერები, ვინც კარგად იცნობდა გ. სერდიუჩენკოს, წერილობით მადლობას უხდიდნენ ქართველ მეცნიერს გამბედაობისა და პრინციპულობისათვის, ხოლო ა. გენკოს ქვრივმა ლ. პანეკმა პირადად სთხოვა ქ. ლომთათიძეს, გამოეცა მისი მეუღლის მონოგრაფია. ა. გენკოს გამოკვლევა დაიბეჭდა დედნისეული სახით ქ. ლომთათიძისა და ბ. სერებრენიკოვის რედაქციით 1955 წელს, თუმცა იმავე წელს გ. სერდიუჩენკოს ეყო თავხედობა და დაბეჭდა დედნის გაუარესებული ვარიანტი. ამ პუბლიკაციაში გ. სერდიუჩენკო ბრალს სდებდა ქართველ მეცნიერს იმაში, რომ იგი არნ. ჩიქობავასთან და თავის მეუღლესთან, ადილეურ-ყაზარ-

დოულ ენათა მკვლევარ გიორგი როგავასთან ერთად გამოყოფდა არა 5 აფხაზურ-ადიღურ ენას, არამედ 3-ს². ქ. ლომთათიძე 1955 წლამდე მართლაც არ იყენებდა ტერმინს „აბაზური ენა“ და ამას თავისი ანგარიშგასაწევი მიზეზი ჰქონდა: იგი სავსებით მართებულად მიიჩნევდა, რომ აბჟურული, ბზიფური, ტაპანთური და აშხარული დიალექტები ყველა ენობრივ დონეზე იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ისინი ერთი და იმავე ენის ტერიტორიულ მიკროვარიანტებად უნდა ჩაითვალოს, რაც გამორიცხავდა აბაზური ენის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, გამოყოფას. მაგრამ გ. სერდიუჩენკოს მეცნიერება არ აინტერესებდა, მას ოპონენტის განადგურებისათვის სჭირდებოდა ზემოთ დასახელებული პოლიტიზებული ბრალდება (ქართველები ორი ენის არსებობას უარყოფენო!) და შეეძლო დიდი ზიანის მიყენება მისთვის, ამიტომ ქალბატონი ქეთევანი იძულებული გახდა 1955 წლიდან გამოეყენებინა ტერმინი „აბაზური ენა“.

ბ) ქ. ლომთათიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1950 წელს დაწყებულ დისკუსიაში ენათმეცნიერების თეორიულ საკითხთა შესახებ. მას ამ საკითხზე არაერთი მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომიც აქვს გამოქვეყნებული და დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა კავშირსა და „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებში (აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, ალბანეთში, ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში, ჩრდილოეთ ვიეტნამში) ენათმეცნიერების გადარჩენისა და ლინგვისტიკაში პროგრესული პოზიციის განმტკიცების საქმეში, თუმცა თავის ნაშრომთა ბიბლიოგრაფიაში ამ საკითხებისადმი მიძღვნილ მხოლოდ ერთადერთ ნაშრომს ასახელებს: **О закономерности исторического развития языка** (კრებული: «Вопросы

² Г.П. Сердюченко. Язык абазин (Общие сведения об абазинах, их диалекты, фонетика, морфология, тексты и словарь). -Известия Академии Педагогических Наук РСФСР, выпуск 67, Труды Института Национальных Школ АПН РСФСР и Черкесского Научно-исследовательского Института. Москва, 1955, гл. 5.

теории и истории языка», Москва, 1952). ამ და სხვა სადისკუსიო ნაშრომებში ქ. ლომთათიძე მაღალ აკადემიურ დონეზე განიხილავს ისეთ ზოგადლინგვისტურ პრობლემებს, როგორცაა: ენის რაობა, ენის სოციალური ბუნება, ენისა და საზოგადოების მიმართება, ენის დიაქრონიული ცვლის მიზეზები, სპეციფიკა და შედეგები, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პრონციპები, დიაქრონიული და სინქრონიული კვლევის მეთოდოლოგია და სხვ. როგორც მკვლევრის ოჯახის წევრები იხსენებენ, ქალბატონი ქეთევანი დისკუსიასთან დაკავშირებით ერთხელ იოსებ სტალინსაც კი შეხვედრია კრემლში. სიცოცხლის ბოლო წლებში მეცნიერი სინანულით აღნიშნავდა, რომ მას და მის თანამედროვე კოლეგებს ბევრი დრო და ენერგია დაეხარჯათ ისეთი პრობლემების დაძლევაში, რომლებიც ნორმალურ სახელმწიფოებში არც კი ჩნდება.

გ) ქ. ლომთათიძე ასევე მონაწილეობდა პ. ინგოროყვას წიგნის „გიორგი მერჩულეს“ გამოცემასთან დაკავშირებულ დისკუსიაში, რომელიც ეხებოდა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის საკითხებს. მის ნაშრომში „აფხაზეთა ვინაობისა და განლაგების ზოგი საკითხის შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის“ 1956 წლის მე-12 ნომერში, იმდროინდელ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მასობრივად გავრცელებულ პოზიციაზე დაყრდნობით გამოთქმულია აზრი, რომ აფხაზეთა წინაპრები მუდამ ცხოვრობდნენ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, ეს ვარაუდი არ იყო მართებული, თუმცა აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში მეცნიერმა შეიცვალა თვალსაზრისი და მიიჩნევდა, რომ აფხაზეთა წინაპრები XVI საუკუნის შემდეგ უნდა იყვნენ მოსულნი ამჟამინდელ საცხოვრისში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდინარე ყუბანის აუზიდან. ეს ის ადგილია, სადაც დღესაც ცხოვრობს აბაზა ხალხი, რომელიც ქ. ლომთათიძეს სავსებით სამართლიანად მიაჩნდა აფხაზეთად ერთად განუყოფელ ეთნოსად.

ქ. ლომთათიძის შემოქმედების მესამე ეტაპი – განმაზოგადებელი მუშაობის ეტაპი იწყება 1958 წლიდან და გრძელდება მისი სი-

ცოცხლის ბოლომდე. ამ ეტაპზე მეცნიერი ადრე დაგროვილ ქართველური და აფხაზურ-ადიღური ემპირიული საკვლევი მასალის საფუძველზე ეწყებს გაღრმავებულ სისტემურ მუშაობას ქართველური ენობრივი კონტინუუმისა და აფხაზურ-ადიღურ ენათა გენეტიკური ნათესაობის პრობლემების საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით. ამ მეტად მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად მეცნიერს უკვე ბევრი რამ უწყობდა ხელს. მათგან ღვთისაგან ბოძებულ ნიჭთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენობრივი მასალის უღრმესი ცოდნა, ამ მასალის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი კვლევის საფუძვლიანი გამოცდილება, აგრეთვე თეორიული ენათმეცნიერების ღრმა ცოდნა და სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა.

მესამე ეტაპზე მეცნიერის კვლევითი თვალსაწიერი ძალზე გაფართოვდა. წინა ეტაპებზე შერჩეულ საკვლევ მიმართულებებს დაემატა აწ უკვე გამქრალი უბიხური ენის სტრუქტურა და ისტორია, აფხაზურ-აბაზური და ქართველური მორფოლოგიური პარალელები, აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფის შიდა ფონოლოგიურ-ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური პარალელები, ბგერათშესატყვისობანი აფხაზურ-ადიღურ ენებსა და ქართულს შორის, ქართველური და აფხაზურ-აბაზური ლექსიკის ეტიმოლოგიური და სემანტიკური ანალიზი, ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირების პრობლემები, მწერლის ენის თავისებურებანი და ა. შ.

სინქრონიული და დიაქრონიული ფონოლოგიის თვალსაზრისით აღსანიშნავია ქ. ლომთათიძის ნაშრომები, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს:

ღ||რ ბგერათმომართებანი, ერთი მხრივ, აფხაზურ-ადიღურ ენებში და, მეორე მხრივ, ქართველურ კილოებში;

აფხაზურ-აბაზური ისტორიული ფონეტიკის პრობლემები. ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მონოგრაფია „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“. თბი-

ლისი, 1975, რომელიც კავკასიოლოგიის ოქროს ფონდის საკუთრება გახდა გამოცემისთანავე;

ადილურ ენათა ისტორიული ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქცია;

ქართველური წინაენისმიერი სპირანტების უძველესი სისტემის აღდგენა;

ქართველური და აფხაზურ-აბაზური ლაბიალური კომპლექსებისაგან მომდინარე ბაგისმიერი თანხმოვნების ისტორია;

წინარეადილური ენის სისინ-შიშინა სიბილანტთა რეკონსტრუქცია;

ქართველურ ენობრივ მიკროვარიანტებში ლაბიალიზაციის საკითხის დასმა და ახსნა;

ერთი და იმავე ოჯახის წევრ პირთა მეტყველებაში კანანზომიერი ბგერათფარდობების გამოვლენა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით;

ტაპანთურ დიალექტში ლარინგალური თანხმოვნის წარმოშობის ისტორია;

მახვილის სიტყვათ- და ფონემათგანმასხვავებელი ფუნქციები აფხაზურ-აბაზურში;

აფხაზურ-აბაზური კბილისმიერი ლაბიალიზებული ფონემების წარმომავლობა და ტრანსფორმაცია;

სონანტთა ბუნებისა და მათი კორელატების ისტორიის დადგენა ქართველურ კილოებსა და აფხაზურ-ადილურ ენებში;

აფხაზურ-აბაზურ ძირთა და მორფემათა ამოსავალი ტიპის გარკვევა, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევისათვის;

რამდენიმე ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობა;

ადილურ ენათა ხმოვნების ისტორიის გარკვევა;

აფხაზურ-აბაზურ, ადილურ (ჩერქეზულ) და ქართველურ ენობრივ ერთეულებში სესხების ფონოტაქტიკური წესების გამოვლენა;

ამოსავალი ბგერათკომპლექსების ცვლილებანი აფხაზურ-ადილურ ენებში;

პოზიციური წარმოშობის ბგერათა ფონემიზაცია;

ჰარმონიის მოშლა აბაზურ ბგერათკომპლექსებში და სხვ.

ამ არასრული ჩამონათვალიდანაც ცხადად ჩანს, ფონოლოგიურ-ფონეტიკურ პრობლემათა რა ფართო სპექტრი გახდა მეცნიერის კვლევის ობიექტი, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქ. ლომთათიძის ამ ნაშრომებში საფუძვლიანადაა გადაწყვეტილი ქართული და აფხაზურ-ადილური ენების გენეტიკური მიმართების პრობლემა სწორედ ფონეტიკურ-ფონოლოგიური მიმართების საფუძველზე.

რა თქმა უნდა, ენათა გენეტიკური ნათესაობის დასამტკიცებლად და შესადარებელ ენათა ისტორიის აღსადგენად მხოლოდ ფონოლოგიური სისტემებისა და ფონეტიკურ პროცესთა ისტორიის კვლევა არ არის საკმარისი. ამიტომ ქ. ლომთათიძემ ნაყოფიერად იღვაწა ქართველური კილოებისა და აფხაზურ-ადილურ ენათა მორფოლოგიური პარალელების აღწერისა და გრამატიკულ კატეგორიათა ისტორიის შედარებით პლანში საკვლევად. ამჯერადაც კომენტარის გარეშე ჩამოვთვლით იმ საერთო გრამატიკულ მოვლენებს, რომლებიც მეცნიერმა გამოავლინა საკვლევ ენათა შესაბამისი მონაცემების ურთიერთშედარების გზით:

გამოყო გრამატიკული კლასის გაქვეავებული ნიშნები ქართულ და აფხაზურ სახელებში;

დაადგინა ზოგიერთ რიცხვითი სახელის სტრუქტურულ-მატერიალური ერთობა ქართულსა და აფხაზურ-ადილურ ენებში;

გაარკვია სხეულის ნაწილთა სახელების სტრუქტურულ-მატერიალური ერთობა იმავე ენებში;

შეისწავლა მოწონება-სიყვარულის გამომხატველ ზმნათა მსგავსება ქართულსა და აფხაზურ-ადილურ ენებში, აგრეთვე ყოფნა-არსებობისა და ქონა-ყოლის გამომხატველ ზმნათა სტრუქტურულ-მატერიალური კავშირი ქართულსა და აფხაზურ-აბაზურში;

გამოავლინა გარდამავლობის გამოხატვის ერთიანი პრინციპი ქართულსა და აფხაზურ ენებში, პარალელები ზმნის ინფინიტურ წარმოებაში ძველი ქართულისა და აფხაზურ-აბაზური ენების მონაცემთა მიხედვით;

დაასაბუთა საერთო საფუძვლების არსებობა საურთიერთო, მიჩნევის (მოჩვენებითობის), ქცევის, პოტენციალისის კატეგორიების წარმოების მხრივ ქართულსა და აფხაზურ-ადილურ ენებში, ასევე სუპლექტურ ზმნათა მსგავსი წარმოება ქართულსა და უზბეხურ ენებში და ა. შ.

ამავე მესამე ეტაპზე მეცნიერი აქტიურად მუშაობდა ქართველური და აფხაზურ-ადილური ლექსიკური პარალელების გამოვლენის მიმართულებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ იგი იკვლევდა ამ ენათა სხვადასხვა დარგის ლექსიკის მოტივაციის საფუძვლებს, სიტყვათა სტრუქტურის საერთო ნიშნებს, სემანტიკურ ცვლილებებს, სიტყვათსესხების მიმართულებებსა და ა.შ. ფონოლოგია-ფონეტიკისა და გრამატიკის ფუნდამენტურ პრობლემებზე მუშაობისას მკვლევრის წინაშე წამოიჭრებოდა ცალკეულ სიტყვათა თუ რომელიმე დარგის ლექსიკის ეტიმოლოგიზების საჭიროება. ქ. ლომთათიძის შემოქმედების მესამე ეტაპზეა შექმნილი ეტიმოლოგიური ნაშრომები შემდეგ სიტყვათა შესახებ: ქართველური მართვე, ერთი, აქვს, დილა, ცეკვა, ჭიკოკონა, საბძელი, სოკოს სახელები, შინაურ ცხოველთა სახელები, ნათესაობის ტერმინები, კერავს, შვილი, ყვლეფს, ფოთი, ტყვარჩელი, ამტყელი, დალიძგა, ლაშარი, ხვალ[ე], ჯაკელი (გურ.), ამსვალდ (სვან.) „ადამიანი“, მარტო, მარტივი, ზოჰვა, მამაკაცის სახელი ლაშა, ფხე სუფიქსიდი...; მეცნიერმა გაარკვია წარმომავლობა-ეტიმოლოგია იმ აფხაზურ-აბაზური სიტყვებისა, რომლებიც აღნიშნავენ: ლავიწს, თოკს, გველს, უბელო ცხენს, კარგს, მიცემას, თხრობას, ვარგისს, ყველს, აკლდამას, ჯორკოს, სუსტს, აომვას, ღმერთს, ცეცხლს, სიძეს, იალბუზს, თვეებს. მასვე გამოთქმული აქვს ანგარიშგასაწევი მოსაზრებანი სხეულის ნაწილთა აფხაზურ-ადილური და ქართული სახელების, ცოდნის, მოწონება-სიყვარულის, ყოფნა-არსებობის, ქონა-ყოლის გამოხატველი ზმნების, მუხის

ზოგადკავკასიური სახელისა და მრავალი სხვა სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ. საყურადღებოა აგრეთვე მკვლევრის მოსაზრებანი ისეთი ძველი სატომო სახელების შესახებ, როგორცაა: აბაზგი, აფშილი || აფსილი, აფსარი, სანიგი, მოსინიკი.

მესამე ეტაპზე შექმნილ გამოკვლევათა უმთავრესი მახასიათებელია ის, რომ მათ უმრავლესობაში მეცნიერმა განაზოგადა უმდიდრეს ემპირიულ მასალაზე დამყარებული სამეცნიერო დასკვნები და უმტკიცესი სამეცნიერო ფუნდამენტი შექმნა, ერთი მხრივ, ქართული ენისა და, მეორე მხრივ, აფხაზურ-ადიღურ ენათა გენეტიკური ნათესაობის პოზიტიური საბოლოოდ გადასაწყვეტად.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქ. ლომთათიძემ შეძლო აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობის დადასტურების საქმეში. როგორც ცნობილია, მკვლევართა ერთი ნაწილი უარყოფს ამ ოჯახის არსებობას, მაგრამ მიიჩნევს, რომ აფხაზურ-ადიღური და ნახურ-დაღესტნური ენები უდავოდ მონათესავენი არიან. რაკი ქ. ლომთათიძის კვლევებმა წყალგაუვალად დაასაბუთეს ქართული და აფხაზურ-ადიღური ენების გენეტიკური ნათესაობა ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, გრამატიკულ და ლექსიკურ დონეებზე, სრულიად უეჭველია არამარტო ქართულის ნათესაობა ნახურ-დაღესტნურ ენებთანაც, არამედ, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის რეალურად არსებობაც. აქვე შევნიშნავთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობას უპირატესად უარყოფენ ის მეცნიერები, ვინც იკვლევს ქართველურ ენობრივ სისტემებს, მაგრამ არასოდეს უკვლევია აფხაზურ-ადიღური, თუ ნახურ-დაღესტნური ენები, ანდა პირიქით, არიან აფხაზურ-ადიღურ ენათა, თუ ნახურ-დაღესტნურ ენათა სპეციალისტები, მაგრამ ვერ ერკვევიან ქართველურ ენობრივ სისტემათა სტრუქტურასა და ისტორიაში.

რა თქმა უნდა, ქ. ლომთათიძის მრავალრიცხოვან ნაშრომებში გამოთქმული ყველა კონკრეტული მოსაზრება არ არის ერთნაირად არგუმენტირებული და ამას მეცნიერიც აღიარებდა როგორც პირად საუბარში, ისე წერილობითაც, თუმცა იოლი სულაც არაა საკუთარ

მოსაზრებათა კრიტიკული შეფასება. ამ თვალსაზრისითაც ქ. ლომთათიძე სანიმუშო მკვლევარი იყო. აი, რამდენიმე მაგალითი მეცნიერის მიერ საკუთარ დასკვნათა კრიტიკისა:

ა. 1941 წელს მეცნიერმა გამოაქვეყნა სტატია „ერთეულის კატეგორია და მისი მაწარმოებლები აფხაზურში“. საკუთარი ხელით შედგენილ თავის ნაშრომთა ბიბლიოგრაფიაში ავტორმა ამ სტატიის დასახელებას დაურთო საყურადღებო შენიშვნა: „სადავოა ზოგი რამ, კერძოდ, მხოლოებითის ფუძისთვის დამახასიათებელი - ს სუფიქსი დემინუტივის ნიშანია და არა ერთეულისა“³.

ბ. 1947 წელს დაბეჭდილ ნაშრომში „ადამიანის აღმნიშვნელი აოჯე სიტყვა აფხაზურში“ მკვლევარი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ქართულ (მეგრულ) გვარსახელთა ერთ ჯგუფში წარმოდგენილი - ვა დაბოლოება ნასესხებია აფხაზური ენიდან და მომდინარეობს ადამიანის აღმნიშვნელი -ჭა ძირისაგან. იმავე ბიბლიოგრაფიაში იგი წერს: „სადავოა ქართულ გვარებში არსებული -ვა დაბოლოების მასთან [დასახელებულ აფხაზურ ძირთან - გ.გ., თ.გ.] კავშირი. სარწმუნო ჩანს ამ უკანასკნელის ს. ჯანაშიასეული ახსნა“⁴.

მოსალოდნელია, რომ მომავალში გადაისინჯოს მეცნიერის ზოგი სხვა კონკრეტული დასკვნაც, მაგრამ ქ. ლომთათიძის ნაშრომებში წარმოდგენილ კონკრეტულ და ზოგად სამეცნიერო მოსაზრებათა, თვალსაზრისთა და დასკვნათა აბსოლუტური უმრავლესობა წარუვალი და უცვლელი დარჩება. ისინი ქართული კავკასიური სკოლის და მთლიანად კავკასიოლოგიის ოქროს ფონდს ქმნიან.

მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ აკად. ქეთევან ლომთათიძის საორგანიზაციო შრომა საქართველოს, კავკასიისა და უფრო ფართო მასშტაბით ენათმეცნიერების განვითარების საქმეში. იგი ორჯერ იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი (1953-1963 და 1975-1987 წწ.). მიუხედავად

³ იხ.: აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია. თბ., 2007, გვ. 8.

⁴ იქვე, გვ. 11.

იმისა, რომ მეცნიერის დირექტორობა დაემთხვა მისი სამეცნიერო--კვლევითი მოღვაწეობის ყველაზე აქტიურ წლებს, მეცნიერს არ დაუზარალებია არცერთი ეს სფერო: ერთი მხრივ, აქტიურად ქმნიდა და აქვეყნებდა ახალ-ახალ სამეცნიერო ნაშრომებს, აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკური, თუ საკავშირო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში (უცხოეთში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობაზე იმ დროს ძნელი იყო ფიქრიც კი!), მეორე მხრივ კი უნარიანად ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის მუშაობას, რომელმაც სწორედ მისი პირველი დირექტორობის დროს მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი როგორც საქართველოში, თუ სრულიად კავკასიაში, ისე მთელ საბჭოთა კავშირშიც და შეინარჩუნა კიდევაც იგი. ამავე წლებში გამოიცა ქართული საენათმეცნიერო სკოლის უდიდეს მიღწევათა ამსახველი ისეთი გამოცემების ტომების უმრავლესობა, როგორც იყო ქართული ენის ძეგლად მიჩნეული აკად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით შედგენილი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული ინსტიტუტის პერიოდული აკადემიური ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. მეცნიერის ხელმძღვანელობით შედგა და მისივე რედაქტორობით გამოიცა სამტომიანი აკადემიური რუსულ-ქართული ლექსიკონი (ტ.1-3, 1953-1956 წწ.).

ახალგაზრდა მეცნიერთა ცოდნის ამაღლების მიზნით ინსტიტუტში მოქმედებდა მუდმივმოქმედი სემინარი, რომლის პერიოდულ სხდომებზეც სისტემატურად განიხილებოდა ენათმეცნიერების დარგებში გამოსული უახლესი ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, ხოლო როგორც ახალგაზრდა, ისე ასაკოვან მეცნიერებს ევალებოდათ ამ გამოცემათა კრიტიკული შეფასება, რაც დიდად სასარგებლო იყო ყველასათვის.

დირექტორობის ორივე პერიოდში ქ. ლომთათიძე აქტიურად ზრუნავდა ინსტიტუტის თანამშრომლებად პერსპექტიული და ნიჭიერი ახალგაზრდების მოწვევაზე, მათ პროფესიულ ზრდაზე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (თელავში, გორში, ცხინვალში,

ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში) მოღვაწე კოლეგების პროფესიული დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათი ნაშრომების გამოქვეყნებაზე, სხვადასხვა ქალაქში რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიების რიგ-რიგობით ორგანიზებაზე, მხარეებიდან ასპირანტებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა მოზიდვაზე და სხვ.

ქ. ლომთათიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იბერიულ-კავკასიური მოდემის ხალხთა ახალგაზრდა წარმომადგენლების მაღალპროფესიულ ლინგვისტებად ჩამოყალიბებას, მათი სტატუსის განმტკიცებას, მათი ნაშრომების ბეჭდვას და სხვ. ამ მიზნით ის და მისი მეუღლე, პროფ. გიორგი როგავა განსაკუთრებით მფარველობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების განყოფილების სტუდენტებსა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის აფხაზ, აბაზა, ადიღელ, ყაბარდოელ, ჩეჩენ, ინგუშ და დაღესტნელ სტუდენტებსა თუ ასპირანტებს. ეხმარებოდნენ მათ სასწავლო, სამუშაო და ყოფითი საკითხების მოგვარებაში. უტარებდნენ დამატებით მეცადინეობებსა და კონსულტაციებს. საჭიროების შემთხვევაში ცოლ-ქმარი შინაც იბარებდა აფხაზ და ჩრდილოეთკავკასიელ სტუდენტებს, ასპირანტებსა და ხარისხის მაძიებლებს, გულუხვად უმასპინძლებოდნენ მათ, ხოლო ფინანსურად შეჭირვებულ ახალგაზრდებს ისე დელიკატურად ეხმარებოდნენ საკმაოდ მოზრდილი თანხით, რომ მათ თავმოყვარეობა არ შელახოდათ.

სწორედ ასეთი გულიანი დამოკიდებულება იყო იმისი საფუძველი, რომ დღესაც კი, როცა ბატონი გიორგი და ქალბატონი ქეთევანი ცოცხლები არ არიან, მათ სახელს სიყვარულით და მოწიწებით წარმოთქვამენ მათი მაღლიერი მოწაფეები ცხუმში (სოხუმში), მაიკოპში, ჩერკესკში, კარაჩაევსკში, ნალჩიკში, მაგასში, გროზნოსა და მაჰაჩყალაში. განსაკუთრებულად უყვარდა ქ. ლომთათიძეს თავისი აფხაზი და აბაზა მოწაფეები (მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე მისი ხელმძღვანელობით სწავლობდა 70-ზე მეტი აფხაზი სტუდენტი), ამჟამად უკვე

